# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 151

„10" ივნისი 2016 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. №61-ის მიმდებარედ არსებული 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.14.03.021.020) შპს „დაი"-სთვის (ს/ნ №405113666) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის" მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 25 მაისის №20.17.453 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №61-ის მიმდებარედ არსებული 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.14.03.021.020) შპს „დაი"-სთვის (ს/ნ №405113666) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. მიწის ნაკვეთის წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს - 1300 (ათას სამასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე                                        გიორგი ალიბეგაშვილი